

გლობალური გეოგრაფია 11 ● გეოგრაფიის სახელმძვანელო მეთერთმეტეკლასელთათვის

გეოგრაფია


გლობალური

11

მაია ბლიაძე, გია ჭანტურია, დავით კერესელიძე

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012).



გაეროს სულაჰის
გამომცემლობა

გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები

1.	რა არის გლობალიზაცია	8
2.	გლობალიზაციის ინდექსი	13
3.	ანტიგლობალიზმი	17
4.	რა არის გლობალური პრობლემები?	21
5.	გლობალურ პრობლემათა ურთიერთკავშირი	24
6.	გლობალური პრობლემები და საერთაშორისო ორგანიზაციები	27

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და გლობალური პრობლემები

7.	თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რუკა	36
8.	მშვიდობა და განიარაღება	40
9.	კონფლიქტების გეოგრაფია	48
10.	ტერორიზმის გეოგრაფია	52
11.	მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები და გლობალური სამყარო შემაჯამებელი სამუშაო I	58

მსოფლიო მოსახლეობა და გლობალური სოციალური პრობლემები

12.	მსოფლიო მოსახლეობის დინამიკა	84
13.	დემოგრაფიული ოპტიმუმი და დემოგრაფიული პოლიტიკა	89
14.	ურბანიზაცია – XX საუკუნის ფენომენი	92
15.	ეთნომოზაიკა და გლობალური ეთნიკური კრიზისი	101
16.	კულტურის გლობალიზაცია	107
17.	ჯანმრთელობის პრობლემა	114
18.	შრომითი მიგრაცია და ფულადი გზავნილები	120
	შემაჯამებელი სამუშაო II	126

მსოფლიო მეურნეობა და გლობალური პრობლემები

19.	ეკონომიკური გლობალიზაცია	130
20.	მსოფლიო ფინანსური ნაკადები და ცენტრები	139
21.	ცხოვრების დონე და ხარისხი	145
22.	მდიდრები და ღარიბები და ჩამორჩენილობის პრობლემა	149
23.	სასურსათო პრობლემა	155
24.	ენერგეტიკული პრობლემა	163
25.	რესურსული პრობლემა	174
	შემაჯამებელი სამუშაო III	182

გლობალური ეკოლოგიური პრობლემები

26.	ეკოლოგიური პრობლემა – ზოგადი მიმოხილვა	186
27.	ატმოსფეროს ეკოლოგია	193
28.	მსოფლიო ოკეანის პრობლემები	199
29.	სანაპირო ზოლის ათვისებისა და დაცვის პრობლემები	205
30.	მტკნარი წყლის პრობლემა	211
31.	პედოსფეროს ეკოლოგია	215
32.	სტიქიური კატასტროფები	221
33.	ტექნოგენური კატასტროფები	230
34.	მსოფლიოს კრიტიკული ეკორეგიონები	236
35.	მსოფლიოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება	240
36.	მსოფლიოს დაცული ტერიტორიები	244
37.	მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის გეოგრაფია	249
38.	გარემოსდაცვითი ორგანიზაციები	252
39.	ეკოლოგიური ალტერნატივა – მდგრადი განვითარება	255
	შემაჯამებელი სამუშაო IV	259
	დანართები	261

A hand is shown holding a globe of the Earth. The globe is tilted and shows various continents and oceans. The hand is positioned at the bottom right, with fingers wrapped around the globe. The background is a light, neutral color. The text is overlaid on the globe in white boxes with blue text.

თავი

გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები

შეიჯყო:

- u რა არის გლობალიზაცია და გლოსალიზაცია;
- u როგორ დგინდება გლობალიზაციის ინდექსი;
- u რა ურთიერთკავშირია გლობალურ პრობლემებს შორის;
- u რა როლი და მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებს გლობალურ სამყაროში.



შეკლავ:

- იმსჯელო გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე;
- გაანალიზო გლობალიზაციის გაზომვის მეთოდები და იმსჯელო მათ სრულყოფილებასა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებზე;
- ჩამოთვალო გლობალური პრობლემები და იმსჯელო მათ შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე;
- გაანალიზო საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა და როლი გლობალურ პრობლემებთან მიმართებაში.

1. რა არის გლობალიზაცია

ლექსიკონი

შრომის საერთაშორისო დანაწილება – ცალკეული ქვეყნების სპეციალიზაცია განსაზღვრული სახეობის პროდუქციის წარმოებასა და მათ გაცვლაში

ინტეგრაცია – ცალკეული ელემენტების გაერთიანებისა და კოორდინირების პროცესი.

უნიფიკაცია – რისამე გაერთიანება, ერთიანი ნორმების შემუშავება და დაქვემდებარება

სტანდარტი – უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებსა და მახასიათებლებს საქონლის, მასთან დაკავშირებული პროცესებისა და წარმოების მეთოდებისათვის.

ექსპანსია – [რაიმეს] ზომის, მოცულობის, რაოდენობის ან ზღვრის გაფართოებისკენ მიმართული ქმედება.

პროტექციონიზმი – შიდა ბაზრის იმპორტისაგან დაცვის პოლიტიკა, რომელიც ამ მიზნით ტარიფებს, კვოტებს, სუბსიდიებსა და სხვა საშუალებებს იყენებს. მისი მთავარი ამოცანა სამამულო წარმოების განვითარებაა.

ვესტერნიზაცია – დასავლური (ევროპული და ამერიკული) ფასეულობების, ცხოვრების წესის გავრცელება ეკონომიკის, პოლიტიკის, განათლებისა და კულტურის სფეროში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ტრანსეროვნული (ტრანსნაციონალური) კომპანია – დიდი საერთაშორისო კომპანია, რომელსაც საწარმოები აქვს ორზე მეტ ქვეყანაში და რომელიც მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს აკონტროლებს.

გლობალიზაციის საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება არ არსებობს. ამ საკითხის მიმართ მეცნიერთა შეხედულებები განსხვავებულია. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენლები განიხილავენ გლობალიზაციის გავლენას პოლიტიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით, ისტორიულ, გეოგრაფიულ და კულტურულ სფეროებზე. ეკონომისტები კი გლობალიზაციაში საქონლის, კაპიტალისა და შრომის ბაზრების საერთაშორისო ინტეგრაციას გულისხმობენ.

გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესია. ზოგადად კი, გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ახდენს მსოფლიოს „დავიწროებას“, არღვევს ეროვნულ საზღვრებს, აახლოებს სხვადასხვა ეროვნულ ეკონომიკას, კულტურას, ტექნოლოგიას, მართვას, წარმოებას და ზრდის მათი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს. მარტივი განმარტებით, გლობალიზაცია ნიშნავს ერთ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ასახვას სხვა ქვეყნებზე, რაც მათი ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგადახლართვის შედეგია.

გლობალიზაცია ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის ზრდით. ის ასევე ასახავს ვაჭრობისა და ინვესტიციების ბარიერთა რღვევს ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების განვითარების შედეგად.

გლობალიზაციის თემის პოპულარობა XX ს-ის 90-იანი წლებიდან მომდინარეობს. ბევრი მეცნიერი ცდილობდა, ეპოვა თანამედროვე გლობალიზაციისა და მისი ისტორიული ანალოგების საერთო ნიშნები, ამიტომ გლობალიზაციის წარმოშობის შესახებ შეხედულებები სხვადასხვაგვარია: ისტორიკოსები მას, როგორც კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს, ისე განიხილავენ; ეკონომისტები ათვლას ტრანსეროვნული

ფინანსური ბაზრების წარმოშობის დროიდან იწყებენ; პოლიტოლოგები მთავარ მიზეზად დემოკრატიული ორგანიზაციების გავრცელებას მიიჩნევენ; კულტუროლოგები კი გლობალიზაციის გამოვლენას კულტურის ვესტერნიზაციას, მათ შორის, ამერიკულ ეკონომიკურ ექსპანსიას უკავშირებენ.

მაგალითი 1

გლობალიზაციის ისტორიულ პრეცედენტებს ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების ხანაში. თუმცა გლობალიზმის ადრეული ფორმები ძველ მსოფლიოშიც არსებობდა. ამის მაგალითია რომის იმპერია, პართია, ხანის დინასტია. ამ უკანასკნელის მმართველობის პერიოდში დაიწყო „აბრეშუმის გზის“ მშენებლობა. ასევე აღსანიშნავია „ისლამის ოქროს ხანა“ – მუსულმანმა ვაჭრებმა მოახდინეს პროდუქციისა და ცოდნის გლობალიზება. მონღოლთა იმპერიაში კი აბრეშუმის გზამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა.



1850 წლიდან ინდუსტრიული კაპიტალიზმის მზარდმა აღმავლობამ მეტი რესურსი და გლობალური ბაზარი მოითხოვა. ასეთ პირობებში ტრადიციული პროტექციონიზმი „გამოუსადეგარი“ გახდა. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. უკვე 1870 წლისათვის გერმანიისა და აშშ-ის ინდუსტრიალიზაციის მზარდი ტემპების გამო ბრიტანეთის ეკონომიკური უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ნილ ფერგიუსონი მიიჩნევს, რომ 1870 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე საქონლისა და კაპიტალის მიმოქცევამ მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია, რაც შემდგომ, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში განმეორდა. ეკონომიკური ასპექტებით იმდროინდელი მსოფლიო მართლაც ძალიან ჰგავდა თანამედროვე ტენდენციებით გაჯერებულ რეალობას, თუმცა, შესაძლოა, მხოლოდ – ერთი შეხედვით.

დავალება

1. გაიხსენე ისტორიის კურსიდან, სად გადიოდა „აბრეშუმის გზა“ და რა როლი შეასრულა მან იმდროინდელი ქვეყნების განვითარების პროცესში.
2. შენი აზრით, რომელი პერიოდიდან შეიძლება საუბარი გლობალიზაციაზე?

გლობალიზაციის უმთავრეს შედეგს წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილება, კაპიტალის, შრომითი და სანარმოთა რესურსების მიგრაცია მთელი პლანეტის მასშტაბით, კანონმდებლობის, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების სტანდარტიზაცია, ასევე სხვადასხვა ქვეყნების კულტურების დაახლოება და შერწყმა. გლობალიზაციის შედეგად მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო და უფრო უკავშირდებიან ერთმანეთს და საერთო გლობალურ სურათს ქმნიან.

წარმოების სფეროში იზრდება „გლობალური ფაბრიკები“, რომლის საუკეთესო მაგალითია მანქანათმშენებლობის თანამედროვე დარგების წარმოების პროცესის გლობალიზაცია. ამ დროს რამდენიმე ქვეყანა ერთ სანარმოო ხაზად ერთიანდება. გაჩნდება საფონდო ბირჟები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოცდაოთხი საათი მუშაობენ. გლობალიზაციას უკავშირდება დედამიწის ყველა კუთხეში აღიარებული საკრედიტო ბარათების გავრცელება და ზოგიერთი ვალუტის მზარდი გამოყენება.

სამხედრო სფეროში თვალსაჩინო გახდა გლობალური შეიარაღების ეპოქის დადგომა. კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების, საჯაშუშო თანამგზავრებისა და მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად მთელი მსოფლიო ერთ სტრატეგიულ არეალად გადაიქცა.

გლობალიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკურ პროცესებს. იგი ასევე აღნიშნავს პროცესებს, რომელთა საშუალებითაც სოციალურ ურთიერთობებს ნაკლებად აფერხებს მანძილი და საზღვრები. მაგალითად, კომუნიკაციების სფეროში გლობალიზაციას ციფრულმა ტექნოლოგიებმა, სატელეფონო კავშირმა, ელექტრონულმა მასმედია და სხვა საშუალებებმა შეუწყო ხელი. ორგანიზაციების სფეროში გლობალიზაცია კომპანიების, ასოციაციებისა და მარეგულირებელი უწყებების ზრდით გამოიხატა.

ეკოლოგიური კუთხით, გლობალიზაცია ისეთ სფეროებში გამოვლინდა, როგორიცაა პლანეტის ჰავის ცვლა, სტრატოსფეროში ოზონის შემცირება, ცალკეული ბუნებრივი რესურსის შესაძლო ამონურვა და დედამიწის ბუნებრივი მრავალფეროვნების შემცირება, რომელთა მოგვარება საერთაშორისო ძალისხმევითა და ერთიანი სტრატეგიებით ხორციელდება. კულტურული მიმართულებით შეიცვალა ნორმები (ადამიანის უნივერსალური უფლებები) და ყოველდღიური აზროვნება (ადამიანები მსოფლიოს ერთ მთლიანობად აღიქვამენ).

დავალება

3. იმსჯელე, რომელ სფეროებს შეეხო გლობალიზაციის პროცესი და მოიყვანე მისი გავლენის მაგალითები.

გლობალიზაციას, ზოგადად, უზარმაზარი სარგებელი მოაქვს ქვეყნებისა და მოსახლეობისთვის. იგი ამალღებს მწარმოებლობას, ეხმარება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების განვრცობას, აუმჯობესებს მომხმარებელთა არჩევანის დიაპაზონს. გლობალიზაციის შედეგად ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები ისე მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რომ მსოფლიომ „პატარა სოფლის“ მახასიათებლები შეიძინა. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკაში ღრმა ინტეგრაციის და გლობალიზაციის თემა ყოველთვის და ყველგან პოპულარული არ არის.

გლოსალიზაცია გლობალიზაციის რეგიონული სცენარია. გლოსალიზაცია გლობალიზაციის საყოველთაოდ გავრცელებული ვარიანტია და ნიშნავს გლობალიზაციის გავრცელებას ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური თუ ეროვნული კულტურების გათვალისწინებით. ტერმინი ჩვეულებრივ იმ პროდუქტსა თუ მომსახურებასთან მიმართებაში გამოიყენება, რომლებიც შემუშავებულია და გავრცელებულია გლობალურად, თუმცა ასევე გათვალისწინებულია ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებისა და მომხმარებლის თავისებურებები. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი და მომსახურება, შექმნილია თუ შეთავაზებისას, უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ კანონებს, ტრადიციებს ან მომხმარებლის მოთხოვნებს. პროდუქტი და მომსახურება, რომლებიც ეფექტიანად არის გლოსალიზებული, საბოლოო ჯამში მომხმარებლისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს.



ნახ. 1.1. „მაკდონალდსი“ მსოფლიოში ლიდერია სწრაფი კვების ობიექტებს შორის. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში პროდუქტი, რომელიც „მაკდონალდსის“ რესტორნებში იყიდება, ადგილობრივ ბაზარზეა წარმოებული. „მაკდონალდსის“ საქართველოში ქართულ მეურნეობებთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული და ნატურალური პროდუქტით უმასპინძლდება მოსახლეობას. ადგილობრივი ტრადიციებიდან გამომდინარე, „მაკდონალდსის“ რესტორანმა ქართველ მომხმარებელს ახალი პროდუქტი „მაკლაგაში“ შესთავაზა.

გლობალიზაციის საფუძველს დეცენტრალიზებული და „სამართლიანი“ მსოფლიოს იდეა წარმოადგენს. გლობალიზაციის მოდელების შემუშავებისას გათვალისწინებულია თვითორგანიზაციის და კულტურათაშორისი კომუნიკაციების ქსელური ფორმები.

მაგალითი 2

პირველი გლობალური ორგანიზაცია „Glocal Forum“-ი 2001 წელს დაარსდა და მისი მიზანია გლობალიზაციის პროცესში ადგილობრივობის განვითარება და ლოკალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. მაგალითად, „Yahoo!“ – ეს არის კომპანია, რომელიც პრაქტიკაში ატარებს გლობალიზაციას. მათი ინტერნეტ-პორტალით მთელი მსოფლიო სარგებლობს, ამიტომ მომხმარებელს კომპანია ვებ-გვერდების სხვადასხვა ვერსიებს სთავაზობს. მას აქვს მომსახურების სერვისი სხვადასხვა ენაზე, საიტის შინაარსი შედგენილია მომხმარებლის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. ამჟამად ბევრი სახელმწიფო და კერძო კომპანია იყენებს გლობალიზაციას, რათა თავის კლიენტებს შეუქმნას ბაზები და გაუზარდოს მოგება.



გლობალიზაციის უარყოფითი გავლენის შესუსტებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას და, განსაკუთრებით, უმაღლეს სასწავლებლებს. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს, გადალახონ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია (ამის მაგალითია ჰონგკონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და სამხრეთი კორეა); მეორე მხრივ კი, ის ეკონომიკური სისტემები, რომლებმაც ვერ გაიარეს ადაპტაცია, ხდებიან კიდევ უფრო ჩამორჩენილები. საზოგადოების უნარი, გადავიდეს „ინფორმაციულ ხანაში“, დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისტემას – დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტის ჩათვლით. ყველაზე უფრო თანამედროვე ქვეყნების განათლების სისტემაც კი სრულად არ ასახავს სისტემის დინამიზმს. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ეპოქაში მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა ინვესტიციების ჩადება განათლების სფეროში.

ახალი ერის გამონვევებთან დაკავშირებულია კორპორატიული უნივერსიტეტების ჩამოყალიბება. ელექტრონული (დისტანციური) სწავლების სისტემა, ე.წ. „e-learning“ დღითი დღე უფრო პოპულარული ხდება. უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ინტერნაციონალიზაცია არის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი ფაქტორი. იგი განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება მოგებული გლობალიზაციის პროცესში.

ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური გლობალიზაცია აუცილებლად უნდა აისახებოდეს თანამედროვე უნივერსიტეტის მოდელზე. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს აქვს სხვა აუცილებელი განზომილებებიც, მაგრამ ცოდნის მენეჯმენტი რჩება ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტად.

დავალება

4. ახსენი, რა განსხვავებაა გლობალიზაციასა და გლოსალიზაციას შორის.
5. ახსენი, როგორ გესმის განმარტება: „გლობალიზაცია არის ბიზნესის ინტეგრაცია გეოგრაფიული და ორგანიზაციული საზღვრების მიღმა“.
6. მოიყვანე მაგალითები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესს ასახავს. რაში და როგორ გრძნობ გლობალიზაციის გავლენას?
7. იმსჯელე გლობალიზაციის და გლოსალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ას საინტერესოა

u გლობალიზაცია ინგლისურ სიტყვა „გლობეს“ უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო გლობალ – მსოფლიოს. ტერმინ „გლობალიზაციის“ ეკონომიკურ კონტექსტში ხმარება დაკავშირებულია ამერიკელ ეკონომისტ თეოდორ ლევიტთან, რომელმაც „ჰარვარდ ბიზნესრევიუში“ გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში გლობალიზებული ბაზრების მოქმედება აღწერა. თუმცა შემდგომში ამ ტერმინს ხშირად ხმარობდნენ ახალი ტიპის მულტინაციონალური ორგანიზაციების აღსაწერადაც. 1999 წელს დავოსში (შვეიცარია) მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაჩნდა ახალი სიტყვა „გლობალურობა“, რაც შეხვედრის მთავარი თემა გახდა.

u პლანეტის მოსახლეობის 20%, ე.წ. „ოქროს მილიარდი“, 82-ჯერ მეტ მსოფლიო რესურსებს მოიხმარს, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი 80%. „ოქროს მილიარდში“ შედის აშშ-ის, კანადის, დასავლეთ ევროპის, ავსტრალიისა და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის მოსახლეობა.

u 1960 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) ფსიქოლოგიის პროფესორებმა პატრიკ სპეისმა და რიჩარდ ათკინსონმა დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა სწავლების პროცესში ექსპერიმენტის სახით პირველად გამოიყენეს კომპიუტერი. 2006 წელს კი აშშ-ში „ონლაინ“ სწავლებაში უმაღლესი სასწავლებლების 3,5 მლნ სტუდენტი იყო ჩართული. ექსპერტთა გამოთვლებით 2014 წელს სტუდენტთა 84% გამოიყენებს „e-learning“-ის მომსახურებას.



2. გლობალიზაციის ინდექსი


გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ინტეგრირების დონის ან ხარისხის დადგენისას ცალკეულ მაჩვენებლებს იყენებენ, რომლებიც ცალსახად ასახავენ კონკრეტულ სფეროში ქვეყნის დანარჩენ მსოფლიოსთან დამოკიდებულების ხარისხს. თანამედროვე გლობალიზაციის „გაზომვის“ სხვადასხვა საშუალება არსებობს. უკანასკნელ წლებში შემუშავდა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მაჩვენებლებს. აღნიშნულ ინდექსზე დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის გლობალიზების დონის დადგენა, პოტენციალისა და გლობალიზაციის პროცესისგან მოსალოდნელი საფრთხეების შეფასება.

გლობალიზაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია ე. წ. **გლობალიზაციის KOF ინდექსი** (KOF Index of Globalization), რომელიც 2002 წელს შემუშავდა. 2006 წელს ეს ინდექსი გერმანელი ეკონომისტის, აქსელ დრეჰერის, ავსტრალიელი ეკონომისტის ნოელ გასტონის და ჰოლანდიელი ბიოლოგისა და ეკოლოგის პიმ მარტენსის მიერ განახლდა და დეტალურად გაიწერა. ეს საყოველთაო ინდექსი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის სიდიდეს ზომავს.

გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით, **ეკონომიკურ გლობალიზაციას** ახასიათებს საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ინფორმაციის ნაკადებისა და ცვლილებების შორ მანძილზე გადატანა; **პოლიტიკური გლობალიზაცია** განისაზღვრება, როგორც სამთავრობო პოლიტიკების დიფუზია, ხოლო **სოციალური გლობალიზაცია** – იდეების, ინფორმაციის, ადამიანური ურთიერთობების განვრცობა-გაფართოება.

წარმოდგენილი ინდექსები პროცენტებში გამოისახება და, შესაბამისად, მაღალი პროცენტი გლობალიზაციის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. მაჩვენებლები ყოველწლიურად 158 ქვეყნის მიხედვით გამოითვლება და მონაცემები მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს კონფერენციის ვაჭრობისა და განვითარების შესახებ წლიურ ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო კავშირის და საფოსტო სტატისტიკის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის და სხვა საინფორმაციო წყაროებს ეფუძნება.

ნახ. 2.1. მსოფლიოს ქვეყნები KOF ინდექსის მიხედვით (% , 2009 წ.)



დავალვა

1. ნახ. 2.1-ისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის (დანართი №1) მიხედვით დააჯგუფე მსოფლიოს ქვეყნები KOF ინდექსის მიხედვით. თითოეულ ჯგუფში სულ მცირე სამი ქვეყანა გააერთიანე და მონაცემები წარმოადგინე ცხრილის სახით.